საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/137

ქ. ბათუმი 19 ოქტომბერი, 2018 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2018 წლის 17 ოქტომბრის MES 1 18 01339287 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში ,,ცენტრი“) უწყვეტი განათლების მიმართულებათა კოორდინატორებად და საკოორდინაციო საბჭოს წევრებად დაინიშნონ შემდეგი პირები:

   ა) **მოსამზადებელი მიმართულების** (აბიტურიენტთათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის) კოორდინატორი – 1. ბსუ-ს პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი. მალხაზ ჩოხარაძის არყოფნის შემთხვევაში - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოთაძე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ამ მიმართულების თანაკოორდინატორი;

   ბ) მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი თემურ ავალიანი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

   გ) **უცხო ენების სწავლების მიმართულების** კოორდინატორი - ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

   დ) **ფსიქოლოგიის მიმართულების** კოორდინატორი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერიძე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

2. ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს უხელმძღვანელოს ცენტრის დირექტორმა, ბსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა მადონა მიქელაძემ.

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ყველა ფაკულტეტს და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**